საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ბედიელი

იოანე ბედიელი, ბედიის მთავარეპისკოპოსი XI ს. II ნახევარში. ჰქონდა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) საეკლ. წოდება. 1065, როდესაც ბაგრატ IV-ის ასული მარიამი (მართა) ცოლად გაჰყვა ბიზანტ. იმპერატორის – კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილს (შემდგომში იმპ. მიხეილ VII), კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართვ. ბიზანტიის მომავალ დედოფალს თან ახლდა სამეფო დელეგაცია: პეტრე პატრიკი, ი. ბ. და „სხუაჲ ერი ფრიადი".

წყარო: გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

ლიტ.: კ უ დ ა ვ ა ბ., იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის), «არტანუჯი», 1994, N 2–3.

ბ. კუდავა